



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება № 057/10

1. ფაქტები

დ.ჯ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით წარმოადგენდა მისი კლიენტის - დ.მ.-ის ინტერესებს, რომელთანაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პირობით მსჯავრთან დაკავშირებით. დ.მ.-ის ინტერესების დაცვისას, ადვოკატი დ.ჯ. თანამშრომლობდა პროკურატურასთან და მონაწილეობას ეღებულობდა პროკურატურის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ სამძებრო მოქმედებაში, რის თაობაზეც დ. მ.-ს არ გააჩნდა ინფორმაცია. ადვოკატი დ.ჯ. და პროკურორი ლ.ბ. შეთანხმდნენ, რომ გარკვეული ოდენობის თანხის სანაცვლოდ სისხლის სამართლის საქმეზე ლ.მ.-სთვის სასურველი პირობებით საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა, რისთვისაც დ. ჯ.-მ პროკურორ ლ.ბ.ს ქრთამის სახით გადასცა 1500 ლარი.

2. პროცესუალური ისტორია

2010 წლის 23 ივლისს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა მ.ნ.მ, ქ.შ.მ, ლ.ზ.მ, ზ.ბ.მ, ხ.ზ.მ, ლ.ბ.მ, შ.დ.მ, ც.ო.მ, მ.ნ.მ, მ.შ.მ, თ.ჯ.მ და ვ.ფ.მ. საჩივრის ავტორები ითხოვენ ადვოკატ დ.ჯ.ს დაეკისროს პასუხისმგებლობა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულებით გათვალისწინებული წესით. დისციპლინური დევნის აღმძვრელმა კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატი დ.ჯ.-ის მიმართ დისციპლური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის ნე-5 პუნქტი. ეთიკის კომისიის თავჯდომარემ საქმე გადასცა მესამე დისციპლინურ კოლეგიას. მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“, დებულების 36-ე მუხლით და 2011 წლის 20 იანვარის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ დ.ჯ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები სახეზეა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა ადვოკატისათვის საქმიანობის უფლების შეჩერება 18 თვის ვადით.

შესაძლოა თუ არა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისას ეთიკის კომისია დაეყრდნოს იმ სისხლის სამართლის განაჩენში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, სადაც ადვოკატი (დ.ჯ.) მხარე არ ყოფილა და შესაბამისად არ ქონია მისი გასაჩივრების საშუალება.

საქმეში სადავოა ის გარემოება, მართლაც გადასცა თუ არა დ.ჯ.-მ პროკურორ ლ.ბ.ს ქრთამის სახით 1500 ლარი. ეს ფაქტი პროკურორ ლ.ბ.ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, თუმცა დ.ჯ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი საქმე არ აღძრულა. ამასთან, დ.ჯ.-ის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ დ.ჯ.-მ ასესხა ლ.ბ.ს ხსენებული თანხა. ხოლო ეს გარემოება შემდგომში პროკურატურამ გამოიყენა არასწორად, რასაც შედეგად ლ.ბ.ს დაპატიმრება მოყვა.

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მას შეუძლია დაეყრდნოს სასამართლოს განაჩენში მითითებულ, გამოძიებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას თუ არ არსებობს მისი გაქარწყლებისათვის მნიშვნელოვანი გარემოება ან სხვა უტყუარი მტკიცებულება. კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატი დ.ჯ.-ის წარმომადგენელს ეთიკის კომისიის წინაშე სხვა მტკიცებულება



განაჩენში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საპირისპიროდ არ წარუდგენია. ამასთან, ადვოკატი დ.ჯ. ეთიკის კომისიის წინაშე არ გამოცხადდა ახსნა-განმარტების დასაფიქსირებლად, ხოლო მისი წარმომადგენელი ი. ზ. პროკურორისთვის თანხის სესხების თაობაზე გარემოების დადგენისთვის საკმარის და დეტალურ ინფორმაციას არ ფლობდა. მიუხედავად იმისა, რომ დ.ჯ.-ს არ ყოფილა მხარე კონკრეტულ საქმეზე და არ ჰქონია სამართლებრივი საშუალება გაესაჩივრებინა სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი განაჩენი, ეთიკის კომისია ამ განაჩენში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას ეყრდნობა და დ.ჯ.-ის მიერ პროკურორი ლ.ბ.სთვის ქრთამის სახით თანხის გადაცემას დადგენილად მიიჩნევს.

შესაძლოა დ.ჯ.-ის მიერ კლიენტისთვის საპროცესო შეთანხმების მიღწევისთვის ქრთამის გაცემით დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება.

ადვოკატის შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიზანი კლიენტის დაცვაა, ადვოკატს მაინც არ აქვს უფლება ამ მიზნით გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები თუნდაც ამის თაობაზე კლიენტმა თხოვოს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.

ადვოკატი მისი მოქმედებით ორიენტირებული იყო უკანონო გზით შედეგის მიღწევაზე და არა სამართლებრივი გზით კლიენტის დახმარების აღმოჩენაზე. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის ქრთამის მიცემის თაობაზე განხორციელებული მოქმედებით საფრთხე შეექმნა კლიენტის ინტერესების დაცვას და პირადად კლიენტი დააყენა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ, როდესაც უკანონო ხერხით განახორციელა კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღწევა.

დ.ჯ.-ის მიერ დარღვეული იქნა ადვოკატთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება დაეცვა კლიენტი კანონით გათვალისწინებული საშუალებებით.

დ.ჯ.-ს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობით შესაძლოა დაერღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე და მე-8 მუხლები; ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-3 და მე-5 მუხლები.

ადვოკატის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობა არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, თუ დაცულია ორი წინაპირობა: 1. ასეთი მონაწილეობა არ უნდა ხდებოდეს კონტრაქტის საფუძველზე 2. თუ ასეთი ღონისძიების განხორციელებასთან იმავედროულად ხდება კლიენტის დაცვა ან წარმომადგენლობა, ეს უნდა განხორციელდეს კლიენტის ინფორმირებით კანონით დადგენილი წესით და ადვოკატი ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უნდა დათანხმდეს კლიენტის თანხმობის მიღების შემდეგ ან შეწყვიტოს კლიენტის დაცვა, თუ ამის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წინაპირობები არსებობს და მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებაში.

„ადვოკატთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია საქმის წარმოებასთან“

ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე.



„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობა და დამოუკიდებლობას“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მესამე მუხლით გათვალისწინებულია ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად, „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მეხუთე მუხლის შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ნებისმიერი ინფორმაცია, რათა კლიენტმა შემდგომში მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ დ.მ.-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის დამოუკიდებლობაზე გავლენა მოახდინა დ.ჯ.-ის მიერ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებამ ისე, რომ ამის თაობაზე კლიენტი არ იყო ინფორმირებული და არც თანხმობა მიუცია. ამასთან, ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის, შიშის გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატს მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მიიღო ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებაში, შესაბამისი კანონმდებლობით დაევალა ასეთი ღონისძიების თაობაზე კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მათ შორის კლიენტისგან. თუმცა ის აგრძელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, მას კვლავაც ჰქონდა ვალდებულება კლიენტისთვის მისი საქმიდან გამომდინარე ყველსა სახის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. შესაბამისად, ადვოკატმა ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის გაცემით იმ პირობებში როცა კლიენტი ამის თაობაზე არ იყო ინფორმირებული, თავი ჩაიყენა კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რომელიმე მოთხოვნის დარღვევის რეალობის წინაშე. გარდა ზემოთაღნიშნული ვალდებულებისა, კლიენტისთვის შეტყობინების გარეშე ზემოაღნიშნული ღონისძიებაში მონაწილეობით ადვოკატმა საფრთხის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის, კლიენტის ადვოკატის მიმართ ნდობა და ადვოკატის დამოუკიდებლობა. ადვოკატმა დაარღვია ადვოკატის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მეორე და მე-8 მუხლი. ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-3 და მე-5 მუხლები.